



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010129744013817

07 / სექტემბერი / 2017 წ.  
№ 673/ს

სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (წიფელის ჯიშის მრგვალი ხე-ტყე (მორი I;II;III;IV ხარისხის) –სულ -31.65 მ3 საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N206) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46<sup>1</sup>-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 04 აგვისტოს დასკვნის N5004392017, იმერეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2017 წლის 07 სექტემბრის N12/35404 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N206 იმერეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ვანი - ბაღდათის სატყეო უბნის ქერშავეთის სატყეოს N3 კვარტალში ,(ლიტერი 11) სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 31.65 მ<sup>3</sup> ფოთლოვანი სახეობის (წიფელის) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის- I; II; III; IV ხარისხის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ბლიაძე) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი. გულუას ქ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9/7/2017

ეროვნული სატყეო სააგენტო

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის  
მოადგილე



ნათია იორდანიშვილი